გამარჯვებათა გზით

ხარკოვი. “მეტალისტის” სტადიონი. 13 სექტემბერი.

“ავანგარდი” (ხარკოვი) - “დინამო” (თბილისი) 1:2 (1:2).

“დინამო”: ლეჟავა, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, ხელაძე, კალოევი, ბარქაია, დათუნაშვილი (მესხი).

“ავანგარდი”: უგრაიცკი, ონისკო, ოჟერედოვი (კრავჩენკო), ნოროვი, ალექსანდროვი, ტოდოროვი, კოსტიუკი, ბალაკინი, სეკეჩი, კორულიოვი, კაშტანოვი.

მსაჯი ვ. ბარაშკოვი (მოსკოვი).

13 სექტემბრის მატჩის მონაწილენი სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებიან გათამაშების ცხრილში და ამასთან დაკავშირებით მათს წინაშე სხვადასხვა ამოცანები იყო დასახული. თბილისელები ჯგუფის ლიდერები არიან და ქულებს გუნდთან, რომელსაც დაკარგული აქვს პირველ ექვსეულში მოხვედრის შანსები, მათთვის არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია. რაც შეეხება მასპინძლებს, მათთვის მატჩის მოგება წარმოადგენდა საკუთარი მაყურებლის წინაშე საკმაოდ შელახული პრესტიჟის აღდგენის საქმეს.

მაგრამ თბილისის “დინამო” კარგა ხანია მხოლოდ გამარჯვებათა გზით დადის და გუნდს, ეტყობა, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი არ გადაუხვიოს მას გათამაშების ბოლომდე. მიუხედავად იმისა, რომ თბილისელთა შემადგენლობაში არ იყვნენ კოტრიკაძე, გ. სიჭინავა და მესხიც მხოლოდ მოგვიანებით იქნა გამოყვანილი მინდორზე, მათ ეს თამაშიც მაღალ ტემპში, კომბინაციურად და მონდომებით ჩაატარეს. რაც შეეხება ხარკოველებს, მათი ყოველგვარი ცდა რეაბილიტაციის აღდგენისა, უშედეგოდ დამთავრდა.

მატჩის ყველაზე უფრო დაძაბული, საინტერესო ნაწილი იყო მე-6 წუთი. სტუმრები შეტევაზე იმყოფებოდნენ. ფორვარდებმა გაითამაშეს ტემპიანი კომბინაცია, რომლის შედეგად “ავანგარდის” დაცვაში წამით დარჩა ღია პოზიცია. აქ დროულად გავიდა ბარქაია, რომელმაც ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში 1:0. არ გასულა ნახევარი წუთიც და ხარკოველებმა სწრაფი გარღვევის შემდეგ გაიტანეს საპასუხო გოლი - 1:1.

დინამოელები ტაიმის დამთავრებამდე განაგრძობდნენ თავიანთ იერიშებს. 42-ე წუთზე კალოევმა კარგად გამოიყენა ხარკოველთა საჯარიმო მოედანზე დაშვებული შეცდომა და წინ გაიყვანა თავისი გუნდი - 2:1.

“ავანგარდმა” ხაგრძნობლად გამოასწორა თამაში მეორე ტაიმის დასაწყისში, მაგრამ სტუმრებმა ორგანიზებულად მოიგერიეს მოწინააღმდეგის შეტევა და შემდეგ გაათანაბრეს კიდეც მდგომარეობა. დარჩენილი დროის განმავლობაში ცვლილება ანგარიშში არ მომხდარა და თბილისის “დინამომ” თავის აქტივში ჩაიწერა კიდევ ერთი გამარჯვება - 2:1.

თბილისელებმა გამარჯვებას მიაღწიეს აგრეთვე დუბლიორთა შეხვედრაშიც - 2:0.

კ. ნაზარენკო.
“ლელო”, 15 სექტემბერი 1962 წ.